

## ➤ კონფიდენციალურობის პოლიტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი უზრუნველყოფს ვებ-გვერდის [www.personaldata.ge](http://www.personaldata.ge); [www.pdp.ge](http://www.pdp.ge) - მომხმარებლების კონფიდენციალურობის მაღალი ხარისხით დაცვას.

### მონაცემების შენახვა და გამოყენება

ვებ-გვერდის მომხმარებელთა მონაცემი გროვდება და ინახება ვებსერვერზე 5 კვირამდე ვადით, ე.წ. ლოგების სახით. მიღებული ინფორმაცია არ გამოიყენება მომხმარებლის იდენტიფიკაციის მიზნებისთვის, მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მხოლოდ სტატისტიკური ანალიზისთვის, ასევე, შესაძლო ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების გამოვლენისა და ვებ ადმინისტრირების მიზნებისთვის. ვებ-გვერდის მიერ დამუშავებული არცერთი მონაცემი არ გადაეცემა მესამე მხარეს.

ვებ-გვერდზე მომხმარებელთა სტუმრობისას, სერვერზე ფიქსირდება ვებ-გვერდზე შესვლის თარიღი და მეთოდი, ინტერნეტ პროტოკოლის მისამართი, რეფერალი და დათვალიერებული რესურსის მისამართი.

### „ანალიტიკური სერვისი“ (Google Analytics)

ვებ-გვერდის ოპტიმიზაციის, ხარისხის გაუმჯობესებისა და ტექნიკური შეფასების მიზნით, ჩვენ ვიყენებთ Google Analytics-ის სერვისს. აღნიშნული სერვისი იძლევა სტატისტიკურ მონაცემებს მომხმარებლების მიერ ვებ-გვერდზე მოთხოვნილი ინფორმაციის (ძიების შინაარსი, ვებ-გვერდის ესა თუ ის განყოფილება და სხვა) შესახებ. მაგალითად, რომელი ქვეყნიდან/ქალაქიდან განხორციელდა ვებ-გვერდზე წვდომა, ვებ-გვერდზე სტუმრობის ხანგრძლივობა, გამოყენებული ოპერაციული სისტემა. ინფორმაცია მუშავდება მხოლოდ სტატისტიკური მიზნით და ტექნიკურ დონეზე მომხმარებელთა იდენტიფიცირება შეუძლებელია.

### „მზა ჩანაწერები“ (Cookies)

ჩვენ ვებ-გვერდზე „მზა ჩანაწერები“ გამოიყენება მომხმარებლისათვის საიტზე ნავიგაციის გამარტივების, ინფორმაციის სასურველი ფორმატით შეთავაზების და ძებნის პარამეტრების გაუმჯობესების მიზნით.

„მზა ჩანაწერების“ მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს ვიზიტორის მიერ ვებ-გვერდზე გატარებული დროის ხანგრძლივობა, რომელი ქალაქიდან განხორციელდა წვდომა და რა ენაზე გაეცნო სტუმარი ინფორმაციას, მიიღო თუ არა მონაწილეობა გამოკითხვაში და ვებ-გვერდზე ტექნიკური ხასიათის პრობლემას ხომ არ ჰქონდა ადგილი.

## ტრენინგზე რეგისტრაცია

ჩვენს საიტზე ნებისმიერ მსურველს შეუძლია დარეგისტრირდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ ორგანიზებულ ტრენინგზე. ამ მიზნისთვის ვებ-გვერდის მეშვეობით ხორციელდება მომხარებლის სახელის, გვარის, ელექტრონული ფოსტის მისამართის, ტელეფონის ნომერის შეგროვება. აღნიშნული მონაცემები ინსპექტორის აპარატის მიერ ინახება აპარატის სერვერზე 6 თვის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ინფორმაცია იშლება.

## სხვა ვებ-გვერდები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ვებ-გვერდი შესაძლოა შეიცავდეს ინფორმაციას სხვა ვებ-გვერდების შესახებ. აპარატი არ არის პასუხისმგებელი აღნიშნულ ვებ-გვერდებზე არსებული კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე. ამდენად, სხვა ვებ-გვერდის სტუმრობისას სასურველია, გაეცნოთ მასზე არსებულ კონფიდენციალურობის პოლიტიკას.